

## ინფრასტრუქტურა

2016 წლის იმერეთის რეგიონის ბიუჯეტმა 143 566 500 ლარი შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად კი 40 114 895 ლარი გამოიყო. ხოლო დამატებით კიდევ ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში 12-ვე მუნიციპალიტეტში 6 845 638 ლარი დაიხარჯა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის. ჯამში 2016 წელს, რეგიონში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის, 46 960 533 ლარის ათვისება მოხდა. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მიმდინარე წელს 126 პროექტი შესრულდა, მათ შორის პირველი რიგის პრიორიტეტს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის კი ყველა მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებით კიდევ 3 145 016 ლარი დახარჯა. მხარეში გზების რეაბილიტაციაზე 28 624 954 ლარი დაიხარჯა. შესაბამისად, მოსახლეობისთვის გადაადგილება უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდა. აუცილებელია, რომ გზა ყველა სოფლამდე მივიყვანოთ. ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების მოწესრიგების პროცესი. წინა წელს ასფალტობეტონის საფარი ისეთ ადგილებში დაიგო, სადაც ამ დრომდე გზის ზედაპირის რეაბილიტაცია არასოდეს მომხდარა. გზების მშენებლობის პარალელურად სანიაღვრე და წყლის სისტემების მოწესრიგების პროცესიც მიმდინარეობს.

ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციასა და მშენებლობებს იმერეთის მუნიციპალიტეტებში, რადგან ამ კუთხით წინა წლებში სავალლო მდგომარეობა იყო. რეგიონში 2016 წელს 14 საბავშვო ბაღი აშენდა და ათეულობით მათგანის რეაბილიტაცია მოხდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ბაღდათის მუნიციპალიტეტს, სადაც 5 ახალი სკოლამდელი დაწესებულება აშენდა და დაიწყო ფუნქციონირება. აღსანიშნავია, რომ გასული წელი რეგიონში ბაღების წლად იყო გამოცხადებული, იმერეთის მუნიციპალიტეტებში 30 ბაღის რეაბილიტაცია მოხდა. ეს ნიშნავს იმას, რომ მოწესრიგებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება უკვე აღარ არის ფუფუნება და ის ხელმისაწვდომია მაღალმთიან სოფლებშიც, სადაც ამ დრომდე ბაღი საერთოდ არ არსებობდა. რა თქმა უნდა, პროცესი გრძელდება და კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, თუმცა უდავოდ, ძალიან დიდი პროგრესი გვაქვს. მომავალ თაობაზე ზრუნვა და მათი განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნა ყველაზე მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება, სპორტულ ინფრასტრუქტურას, ამ მიმართულებით რეგიონში 1 250 083 ლარი დაიხარჯა. ქალაქ საჩხერეში ძალოსნობის დარბაზის მშენებლობა, ხოლო ქალაქ ტყიბულში სპორტის სასახლის რეაბილიტაცია მოხდა. სხვა უფრო პრიორიტეტული მიმართულებების გამო აღნიშნულ სფეროში ბევრი პროექტი ვერ განხორციელდა,

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სპორტი ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მომავალ წელს აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. მცირე ბიუჯეტის ფარგლებში ვცდილობთ, რომ ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტები დავაფინანსოთ. რაც მთავარია ყველა მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას სხვადასხვა სპორტის სახეობებში ელემენტალური პირობები, რადგან წარმატებული სპორტსმენების აღსაზრდელად და ახალგაზრდების მოტივაციისთვის ეს მნიშვნელოვანია.

## წყალმომარაგება

### ბაღდათი

განხორციელდა თოდაძის ქუჩის რეზერვუარის საწნეო და დამხარჯავი მილგაყვანილობის სრული რეაბილიტაცია. მოეწყო 1100 გრძ.მ და 280 მმ პოლიეთილენის მაგისტრალი. პროექტი განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, საპროექტო ღირებულება 218 228 ლარია, ხოლო პრაქტიკული ღირებულება – 194 025 ლარი. წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით შეიცვალა 450 გრძ.მ მილგაყვანილობა.

### თერჯოლა

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობდა ქ. თერჯოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი, ამ ეტაპზე შეცვლილია 32 000 გრძ.მ შიდა ქსელი. პროექტის ღირებულება 2 204 000 ლარს შეადგენს. წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით შეიცვალა 1400 გრძ.მ მილგაყვანილობა.

### ხონი

წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით შეიცვალა 2200 გრძ.მ მილგაყვანილობა.

## **ვანი**

წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით განხორციელდა 8200 გრძ.მ მილგაყვანილობის სამშენებლო სამუშაოები, 24 სთ. სასმელ წყალს მიიღებს 280 ოჯახი (940 სული) რომლებიც საერთოდ ვერ სარგებლობდნენ წყალმომარაგებით.

## **ხარაგაული**

წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით შეიკვალა 750 გრძ.მ მილგაყვანილობა.

## **ზესტაფონი**

წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით შეიკვალა 730 გრძ.მ მილგაყვანილობა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. პროექტმა მოიცვა მასშტაბური სამუშაოები. კერძოდ: მოხდა 40 კილომეტრამდე სხვადასხვა დიამეტრის ქსელის რეაბილიტაცია და გამრიცხველიანება, 300 არაგველის სატუმბო სადგურსა და რეზერვუარების ხელახალი მშენებლობა საყავრია კირკის უბანში. რის შედეგადაც სასმელი წყალი მიიღო 1200 – მა ოჯახმა (4200 სული) მოსახლეობა ადრე ვერ სარგებლობდა წყალმომარაგებით. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 4 800 000 ლარი.

## **ტყიბული**

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. საპროექტო ღირებულებამ შეადგინა 5 500 000 ლარი. 2016 წელს 1 060 000 ლარის სამუშაოები შესრულდა.

სულ იმერეთის რეგიონში (ქუთაისის გარდა) შემდეგი სამუშაოები განხორციელდა:

1. მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით 2016 წელს განხორციელდა - 3 054 000 ლარის სამუშაოები.
2. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პროექტები, რომელთა საერთო ღირებულება 12 504 000 ლარს შეადგენს.

წყალმომარაგების კომპანიის ძალისხმევით განხორციელდა 13 600 გრძ.მ მილგაყვანილობის რეაბილიტაცია. შედეგად წყალმომარაგება 1400 ოჯახს (3500 სული) გაუმჯობესდა. მათ შორის 280 ოჯახს (940 სული) ბოლო 30 წლის მანძილზე პირველად მიეწოდა სასმელი წყალი.

## მელიორაცია

იმერეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები. გასულ წელს მუნიციპალიტეტებში ათასობით მიწის ფართობი გასარწყავდა. მაგალითად, აჯამეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მოხდა, რომელიც ზესტაფონის, თერჯოლისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განთავსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ემსახურება. ასევე, მათხოჯის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომელიც ჯამში 14 634 ჰა ფართობზე განთავსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უზრუნველყოფს წყლით. საერთო ჯამში რეგიონში აღნიშნული მიმართულებით 8 მილიონზე მეტი ლარის ღირებულების სამუშაოები განხორციელდა.

ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის აღორძინებაა და მოსახლეობამ იცის აღნიშნული მიმართულებით თუ რამდენი სამთავრობო პროგრამა ხორციელდება და როგორი შედეგათები მოქმედებს გლეხებისთვის. შესაბამისად, სარწყავი სისტემების მოწესრიგებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა და ეტაპობრივად ვცდილობთ, რომ ყველა მუნიციპალიტეტის სოფელს მივწვდეთ.

## გაზიფიცირება

2016 წელს იმერეთის რეგიონში ექსპლუატაციაში მიიღეს 1300 კმ გაზ/გამანაწილებელი ქსელი, რომელიც დაახლოებით 27 000 პოტენციური აბონენტს მოიცავს. 2016 წელს იმერეთის რეგიონში 12 000 მოსახლეს მიეწოდა ბუნებრივი აირი.

აღსანიშნავია, რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომლებშიც გაზიფიცირების მასშტაბური პროექტები განხორციელდა.

2015-2016 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 20 სოფელში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 500 კმ. გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც მოიცავს 7 000 პოტენციურ აბონენტს. დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ სოფლებში თითქმის დასრულებულია აბონირების პროცესი.

ასევე, დასრულებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 22 სოფლის, 6 000 პოტენციური აბონენტის გაზიფიცირების პროცესი. აღნიშნულ სოფლებში ქსელის საერთო სიგრძე 200 კმ. – ს შეადგენს.

2016 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 53 სოფელში, ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 460 კმ. გაზგამანაწილებელი ქსელი, რომელიც მოიცავს 10 000 პოტენციურ აბონენტს. უკვე, დასრულებულია აღნიშნული სოფლების გაზიფიცირებაც.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს მთავრობა რეგიონებისთვის კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს სოფლის მხარდაჭერ პროგრამას ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა უკვე მეექვსე წელია მიმდინარეობს, თუმცა, მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. იმისათვის, რომ პროცესი მაქსიმალურად სწორად და გამჭვირვალედ წარმართულიყო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებმა, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარეს ტრენინგები სოფლის რწმუნებულთათვის, რომლებიც ადგილებზე სოფლის კრებებს ატარებენ. სოფლის კრებების ჩატარების თარიღების დადგენის შემდეგ ყველა სოფელში საინფორმაციო ფურცლებია გამოკრული, თუ კონკრეტულად როდის ტარდება სოფლის კრება. ინფორმაცია სოფლის კრებების შესახებ ასევე, მიეწოდება არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს.

მთავრობის დადგენილების მიხედვით, პროგრამით გამოყოფილი თანხა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციას, კეთილმოწყობას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, ასევე გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვას ხმარდება. პროგრამის მთავარ ღირებულებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავად წყვეტს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებიდან მისთვის პრიორიტეტულს.

მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად 2016 წლის ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარი გამოყო, აქედან 8 462 757 ლარი იმერეთის მუნიციპალიტეტებს მოხმარდა.

რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარებულია სოფლის კრებები და გამოვლენილია პრიორიტეტული მიმართულებები და ის კონკრეტული პროექტები მიმდინარე წელს უკვე განხორციელდა.

მოსახლეობამ ძირითადი უპირატესობა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობას, ბაღების რეაბილიტაციას, სასმელი წყლის სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგებას, სარიტუალო დარბაზების მშენებლობას, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობას მიანიჭა.

თითოეული მუნიციპალიტეტისთვის გამოსაყოფი თანხის გაანგარიშება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობით განახორციელა. შესაბამისად, იმერეთის რეგიონში აღნიშნული მიმართულებით ყველაზე დიდი თანხა წყალტუბოსა (1 191 330 ლარი) და ზესტაფონის (1 073 806 ლარი) მუნიციპალიტეტებს გამოეყო.

(პროგრამის მიხედვით, 1-დან 200 სულის ჩათვლით დასახლებისათვის 4 000 ლარია გათვალისწინებული, 201-დან 400 სულის ჩათვლით დასახლებისათვის – 5 000 ლარი, 401-დან 1 000 სულის ჩათვლით დასახლებისათვის – 8 000 ლარი, 1 000-ზე მეტსულიანი დასახლებისათვის კი – 12 000 ლარი. შესაბამისად, იმერეთის რეგიონში აღნიშნული მიმართულებით ყველაზე დიდი თანხა წყალტუბოსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებს გამოეყოთ).

## მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება

2016 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველოს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები პირებისთვის უპრეცედენტო შეღავათები ამოქმედდა, რომლებიც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა. ეს მართლაც რევოლუციური კანონი უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმერეთის რეგიონში მაღალმთიანი სოფლის სტატუსი 48 დასახლებას მიენიჭა.

ახლა კი რაც შეეხება შეღავათებს:

- ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან; მეწარმე პირი მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისგან საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით;
- პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისთვის 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად არანაკლებ 100 ლარი, მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისთვის - 2 წლის განმავლობაში არანაკლებ 200 ლარი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისა და მრავალსექტორიანი საჯარო სკოლებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა გაიცემა;
- ამოქმედდება საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%, პროფ. სასწავლებლებში - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%; სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლისათვის - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%;

- დანამატი საპენსიო ასაკს მიღწეული მოსახლეობისათვის, პენსიაზე არანაკლებ 20% და სოციალური პაკეტის 20%;
- ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის ღონისძიებების ყოველთვიური საფასურის 50% - იანი ანაზღაურება;
- დანამატი ექიმისათვის - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით; ექთნისათვის - სახელმწიფო პენსიის ოდენობით.

დღეს ასევე, ბევრი შეკითხვა არსებობს სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურებზე. მოთხოვნები შემდეგნაირია ↓

სტატუსის მინიჭებისთვის ფიზიკური პირი განცხადებით მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს. განცხადებას უნდა დაერთოს:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მაღალმთიან დასახლებაში წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

### **აწარმოე საქართველოში**

სახელმწიფო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, ერთ ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას "აწარმოე საქართველოში" ახორციელებს. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: პირველი კომპონენტი - ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; მე-2 კომპონენტი - უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა; მე-3 კომპონენტი - ტექნიკური დახმარება.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იმერეთის რეგიონში უკვე ფუნქციონირებს 170-მდე ობიექტი. მათ შორის არის: ქუთაისში სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმო შპს "კორდი", ვანის მუნიციპალიტეტში დაფნის გადამამუშავებელი საწარმო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების

პროდუქციის მწარმოებელი საწარმო, თევზის, ყველისა და ხაჭოს წარმოება და მინერალური პროდუქტების საწარმო, ჭიათურის მუნიციპალიტეტში კი არამვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის წარმოება ხორციელდება. მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტში ამუშავებული თითოეული საწარმო უფრო მეტ სამუშაო ადგილსა და ეკონომიკის გაძლიერებას ნიშნავს.

ეს პროგრამა იმ ადამიანებისთვისაა, რომლებსაც მხოლოდ იდეა გააჩნიათ. სახელმწიფო ყველა იმ პირს აძლევს ბიზნესის წამოწყების საშუალებას, რომელსაც სწორი პროექტი და განვითარებაზე ორიენტირებული იდეა აქვს. "აწარმოე საქარველოში", როგორც უნიკალური შესაძლებლობა, უკვე ბევრმა ადამიანმა გამოიყენა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროგრამით მომავალში კიდევ უფრო მეტი ადამიანი ისარგებლებს. მიღებულ ეფექტს კი მოსახლეობა ძალიან მალე საკუთარ რეგიონში, მუნიციპალიტეტში, ქალაქსა თუ სოფელში იგრძნობს.

## დანერგე მომავალი

ასევე, მნიშვნელოვანია, მეორე სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომლის ფარგლებშიც იმერეთში 20–მდე პროექტი დაფინანსდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვანში, ზესტაფონში, საჩხერეში, წყალტუბოში, ტყიბულში, სამტრედიასა და ჭიათურაში სხვადასხვა ხეხილის ბაღები გაშენდა.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში იმერეთის რეგიონში სულ 86.2 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 454 055 ლარი. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 1 519 ჰექტარს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 7,8 მილიონ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის „დანერგე მომავალი“ განხორციელება 2015 წლიდან დაიწყო. მისი მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენება და სანერგე მეურნეობების მოწყობა.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს:

- ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს;
- სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 % -ს.



პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებისთვის 2016 წლის განმავლობაში 5 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრამის ფარგლებში თანამედროვე ტიპის ბაღის და სანერგე მეურნეობის მოწყობა, ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტ-ჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

## სტარტაპ საქართველო

ქვეყნის სწრაფი განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ დაიწყო.

„სტარტაპ საქართველოს“ დაწყების მიზანია მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებს, რომლებსაც აქამდე ფინანსური რესურსის არქონის გამო არ შეეძლოთ ბიზნესის დაწყება, მიეცეთ უნიკალური შანსი განახორციელონ სიახლეზე ორიენტირებული ბიზნეს იდეები და დაიწყოთ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის განხორციელების შედეგად ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთება ამაღლდება, დაიწყება მრავალი ახალი ბიზნესი, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოსახლეობას საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩნდება.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფომ 11 მილიონი ლარი გამოყო, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდა. სამომავლოდ, უფრო მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი შესაძლოა 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.

პროგრამის კოორდინატორები არიან საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული, პერსპექტიული და მდგრადი ბიზნეს წინადადება და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება საწყისი დაფინანსება.

საპარტნიორო ფონდის მიერ სპეციალურად შექმნილი შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ თითოეულ დაფინანსებულ ბენეფიციართან ერთად შექმნის ახალ კომპანიას (სტარტაპს), რომელშიც ფონდი კაპიტალის სახით შეიტანს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. ამ მოდელით, პროგრამის ბენეფიციარს თანამონაწილეობის სახით, მხოლოდ პროექტის ჯამური ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხის შეტანა მოუწევს, ხოლო მისი ბიზნეს იდეა ავტომატურად შეფასდება, როგორც ერთობლივი კომპანიის კაპიტალში სულ მცირე 40%-იანი შენატანი. შესაბამისად, მხოლოდ 10%-ანი

თანხობრივი თანამონაწილოების პირობებში პროგრამის ბენეფიციარი ხდება 50%-იანი ან მეტი წილის მფლობელი ახალ კომპანიაში. ამასთან, შემდგომში ბენეფიციარს მიეცემა შესაძლებლობა გამოისყიდოს ფონდის წილი ერთობლივ კომპანიაში შეღავათიანი პირობებით ან მოიძიოს სხვა ინვესტორები.

უნიკალური ინოვაციური იდეის შემთხვევაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მაქსიმუმ 100 000 ლარის ოდენობით დააფინანსებს მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებს, რაც მოიცავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ ინჟინერიას, კომპიუტერულ მეცნიერებას ტელეკომუნიკაციას და სხვა მიმართულებებს. ასეთ დროს ბენეფიციარს აღარ მოეთხოვება პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში 95% იქნება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელს შეუწყობს ასეთი მაღალტექნოლოგიური პროექტების მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან, დაეხმარება წარმატებულ კომპანიებს შემდგომი დაფინანსების მოსაპოვებლად და გასავითარებლად აწარმოონ აქტიური კომუნიკაცია ინვესტორებთან და დაინტერესებულ პირებთან.

გარდა ამისა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

## დევენილები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბაზის მონაცემებით, იმერეთის რეგიონში 2012-2016 წლების მდგომარეობით რეგისტრირებულია 24 755 დევნილი (8 342 ოჯახი).

იმერეთის რეგიონში 2013-2016 წლების მიხედვით პრივატიზებული ობიექტების რაოდენობამ შეადგინა 46 ობიექტი (1661 ოჯახი).

ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი იძულებით გადაადგილებული პირების დახმარებაა. იმერეთის მხარეში მიმდინარე წელს რამდენიმე ობიექტი აშენდა, სადაც დევნილები შესახლდნენ.

იმერეთის მხარეში ბინები დაუკანონდა 3 082 დევნილ ოჯახს, 9 092-სულს, აქედან 2012-2016 წლებში 1 661 ოჯახს, დაახლოებით, 5 815 სულს.

სამინისტროს სტრატეგიის ფარგლებში „სოფლად სახლის“ პროგრამით იმერეთში დევნილი მოსახლეობისთვის შეიძინეს 146 ბინა და სახლი. (2014-2016)

სამინისტროს სტრატეგიის ფარგლებში გრძელვადიან განსახლებას ექვემდებარება დაახლოებით 5 260 ოჯახი.

2016 წელს ქუთაისში, შემდეგი ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს:

1. შერვაშიძის N 53 (ორი 16 სართულიანი შენობა)- 160 ბინა.
2. დაღმაშენებლის N 112 (ორი 13 სართულიანი შენობა)- 184 ბინა. (გამოსყიდულია მენაშენებლისაგან).
3. ერისთავის N 7 -43 ბინა. (გამოსყიდულია მენაშენებლისაგან).

ჯამში 2016 წელს განსახლდება 387 ოჯახი.

სამინისტროს მიერ 2016 წელს დაგეგმილია ქ. წყალტუბოში რვა 10-სართულიანი კორპუსების მშენებლობა 560 დევნილი ოჯახისთვის (გვიშტიბი, დაღმაშენებლის ქ.). ქ.ქუთაისში 2017 წელს შერვაშიძის N53-ში განახლდება ოცდასამი 16 სართულიანი კორპუსის მშენებლობა 2 000 დევნილი ოჯახისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში (კომპაქტური ობიექტები) არსებულ შენობებს, დევნილთა მომართვიანობის საფუძველზე, რეაბილიტაციას უკეთებს წყლისა და საკანალიზაციო სისტემებს, დასახლებებში აწყობს ახალგაზრდებისათვის სათამაშო მოედნებს და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევს სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით .

## სტიქია

მოგეხსენებათ იმერეთში სხვადასხვა დროს სტიქიური მოვლენები განვითარდა და გარკვეულწილად ინფრასტრუქტურა დააზიანა. ამიტომ საჭირო გახდა ისევ თავიდან გაკეთებულიყო ის ობიექტები, რომლებიც დაზიანდა. წვიმების შედეგად მუნიციპალიტეტებში რამდენჯერმე იყო წყალდიდობა და რიგი პრობლემები შეიქმნა. იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღსადგენად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სულ 8, 629, 358 ლარი გამოყო. აღნიშნული თანხის მეშვეობით მუნიციპალიტეტებში სრულად მოხდა დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

## ტურიზმი

2016 წელს იმერეთში ტურიზმის განვითარებამ ახალ ეტაპს მიაღწია. საერთაშორისო ბაზარზე მუშაობის გააქტიურებამ მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. რეგიონის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები 400 000 – ზე მეტმა ვიზიტორმა მოინახულა. რეგიონი სერიოზულ ტურისტულ რესურსებს შეიცავს. იმერეთში 900 – ზე მეტი

ისტორიული და 350 – ზე მეტი ბუნებრივი ძეგლია. მთელი წლის განმავლობაში ძირითადი დატვირთვა მოდიოდა ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორებიცაა: გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრატის ტაძარი, მოწამეთის მონასტერი, პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები, ოკაცეს კანიონი. იმერეთში 50 – ზე მეტი კურორტი და საკურორტო დაწესებულებაა, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა წყალტუბოსა და საირმის კუროტების აღდგენისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ასევე, სოფლად აგროტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის. აღსანიშნავია ამ მიმართულებით ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ტყიბულისა და ხონის რაიონებში მიღებული შედეგები. 24 – მა ფერმერულმა მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მეღვინეობის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

ტურისტული ბაზრის ზრდას ასევე, ხელი შეუწყო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გამართულმა მუშაობამ. მოგეხსენებათ, რომ დაემატა ბუქარესტის, სტამბულის, ხარკოვის მიმართულებით რეისები. ამ კუთხით მუშაობას მომავალ წელსაც გავაგრძელებთ, ისევ პრიორიტეტად დარჩება კურორტებისა და ისტორიულ ძეგლებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და ზოგადად, აღნიშნული მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარება.